საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კულტურის სტატისტიკა

2025



12.06.2026
www.geostat.ge

12.06.2026

კულტურის სტატისტიკა
2025 წელი

თეატრების სტატისტიკური გამოკვლევა

2025 წლის მონაცემებით, საქართველოში 53 პროფესიული თეატრი ფუნქციონირებდა, აქედან, 42 ერთეული იყო დრამის, მუსიკალური კომედიისა და მინიატურების, 7 - თოჯინების, 2 - ოპერისა და ბალეტის, ხოლო 2 - ბავშვთა და მოზარდმაყურებელთა თეატრი. თეატრების უმრავლესობა (54.7 პროცენტი) ფუნქციონირებდა ქ. თბილისში, 13.2 პროცენტი - იმერეთში, ხოლო დარჩენილი 32.1 პროცენტი სხვა რეგიონებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიული თეატრების განაწილება თეატრის ტიპის მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №1

თეატრების განაწილება თეატრის ტიპის მიხედვით, 2025



12.06.2026

2025 წელს ქვეყანაში 4.4 ათასი ღონისძიება ჩატარდა, აქედან 130 იყო გასვლითი (ქალაქის გარეთ). საზღვარგარეთ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობამ 153 ერთეული შეადგინა.

2025 წელს ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით 9.8 პროცენტით შემცირდა და 4 073 ერთეული შეადგინა. სპექტაკლების ნახევარზე მეტი (70.4 პროცენტი) ქ. თბილისში ჩატარდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2024-2025 წლებში.

დიაგრამა №2

ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2024-2025

(ერთეული)



12.06.2026

2025 წელს ღონისძიებებზე დამსწრე მაყურებელთა საერთო რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 2.5 პროცენტით შემცირდა და 620.3 ათასი შეადგინა. მაყურებელთა დასწრების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა ქ. თბილისი (66.3 პროცენტით), ხოლო მეორე ადგილზეა იმერეთი (9.6 პროცენტით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2024-2025 წლებში.

დიაგრამა №3

მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2024-2025

(ათასი კაცი)



მუზეუმების სტატისტიკური გამოკვლევა

2025 წელს საქართველოში 261 მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალი ფუნქციონირებდა, საიდანაც 104 ერთეული წარმოადგენს მემორიალურ მუზეუმს, 74 ერთეული - ისტორიულს (მხარეთმცოდნეობის), 23 ერთეული - ხელოვნების, 13 ერთეული - მუზეუმ-ნაკრძალს, 2 ერთეული - ლიტერატურულს, ხოლო 45 - სხვა სახის მუზეუმს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება ტიპების მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №4

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება ტიპების მიხედვით, 2025



12.06.2026

2025 წელს ყველაზე მეტი მუზეუმი ფუნქციონირებდა ქ. თბილისში (22.6%). ამ მაჩვენებლით მეორე და მესამე ადგილებზე იმერეთის (15.3%) და კახეთის (14.2%) რეგიონებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №5

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2025
(ერთეული)



12.06.2026

2025 წელს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 4.5 პროცენტით გაიზარდა და 2.0 მლნ. კაცი შეადგინა. საშუალოდ ერთ მუზეუმზე 7.7 ათასი დამთვალიერებელი მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2024-2025 წლებში.

დიაგრამა №6

დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2024-2025

(ათასი კაცი)



2025 წელს მუზეუმებში ექსკურსიების რაოდენობა 0.9 პროცენტით შემცირდა და 44.6 ათასი შეადგინა, ხოლო გამოფენათა რაოდენობა - 7.1 პროცენტით გაიზარდა და 1 006 ერთეული იყო.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge